ქალაქ თბილისის მერს
ბატონ გიორგი უგულავას

ასლი: ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს და
ქ.თბილისის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურს

ამხანაგობა "ჭავჭავაძე (ვაკე) 2001"
ქ.თბილის ი.ჭავჭავაძის გამზ.#29-31-33
მდებარე სახლის მესაკუთრეებისა და

განცხადება

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ ქ.თბილისში ი.ჭავჭავაძის გამზ.#29-31-33-ში არსებული ამხანაგობა "ჭავჭავაძე (ვაკე) 2001" 01.11.12წ. წერილის საპასუხოდ მივიღეთ ქ.თბილისის ადმინისტრაციის უფროსის გიორგი ქემხაშვილის #12/173073-13 პასუხი, რომელსაც თან დაერთო ქ.თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება #411806. აღნიშნული გადაწყვეტილებით, მართალია გამცხადებელს, შპს "მოყვასი 2012," ჩვენი ეზოს მიმდებარედ, ყოფილი ჩოგბურთის კორტების ადგილზე, მრავალსართულიანი კორპუსის ჩადგმის პროექტზე უარი ეთქვა და დაუდგინდა ხარვეზები, მაგრამ ჩვენი სამართლიანი შეშფოთება გამოიწვა ერთის მხრივ ამ უარის მიზეზებმა, მეორეს მხრივ ჩვენი მოთხოვნის იგნორირებამ მერიის არქიტექტურის სამსახურის მხრიდან, რომ აღნიშნულ ნაკვეთზე წარმოდგენილი პროექტის დამტკიცება მომხდარიყო საჯარო განხილვის გზით, ჩვენი წარმომადგენლების თანდასწრებით. (იხ. ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის წერილი #12/3434883-2) მოგახსენებთ, რომ ქ.თბილისში ი.ჭავჭავაძის გამზ.#29-31-33 ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.14.004.023) წლების წინ მდებარეობდა ჩოგბურთის კორტები. არქიტექტურულ-სამშენებლო თვალსაზრისით იგი წარმოადგენდა საზოგადოებრივი დანიშნულების ზონას, სადაც წარმოუდგენელია ნებისმიერი სახის სამშენებლო საქმიანობის ორგანიზაცია. ამავე ნაკვეთის მიმდებარედ მდებარეობდა საავადმყოფო დაწესებულებები - ე.წ. "მეცხრე საავადმყოფო" და "ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა." ეს უკანასკნელი სამკურნალო დაწესებულების დანიშნულებით დღემდე ფუნქციონირებს. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზებით, ი.ჭავჭავაზის გამზ.#29-31-33 ნაკვეთს (საკადასტრო კოდი 01.14.14.004.023) დანიშნულება შეეცვალა და მიენიჭა არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების სტატუსი. "ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო

კლინიკა"-ს, როგორც ნაკვეთის ერთერთ თანამესაკუთრეს, დაუსაბუთებლად უარი ეთქვა აღნიშნული ნაკვეთის პრივატიზაციაზე, მოგვიანებით 2009 წელს მოხდა მიწის ნაკვეთის ფარული პრივატიზაცია. გვაქვს გონივრული ეჭვი აღნიშნული პრივატიზაცია განხორციელდ საეჭვო გარემოებებში, ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მოხელის უკანონო ხელშეწყობით, რაზეც ჩვენს მიერ სათანადო მტკიცებულებების მოძიებისთანავე, აუცილებლად მივმართავთ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში ი.ჭავჭავაძის გამზ.#29-31-33 მესაკუთრეების საცხოვრებელი ფართების უმრავლესობა უშუალოდ ემიჯნება ნაკვეთს (საკადასტრო კოდი 01.14.14.004.023) ჭავჭავაძის გამზ.#29-31-33 არსებული ნაგებობისათვის ნაკვეთისკენ გამავალი მხარე წარმოადგენს ჩრდილოეთ მხარეს, ხოლო ბინების უმრავლესობა მხოლოდ ცალმხრივად ნათდება. შესაბამისად მათ ბუნებრივი განათება, მზის შუქი, თითქმის არ მიეწოდებათ. სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდება ზამთრის პერიოდში. შესაბამისად მომიჯნავედ, სულ რამოდენიმე მეტრში მრავალსართულიანი ნაგებობის აღმართვა, ამ ფართების მდგომარეობას კიდევ უფრო სავალალოს გახდის და ამით შესაძლებელია საფრთხე შეექმნას იქ მაცხოვრებელი პირების ჯანმრთელობის მდგომარეობასაც. აღნიშნულ ნაკვეთზე კორპუსის აღმართვა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს "ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკას" და მის პაციენტებსაც, რომლებიც ასევე ფაქტობრივად რჩებიან ბუნებრივი განათების წყაროს გარეშე. მოგეხსენებათ ბნელ დილეგში შეიძლება არსებობდეს ციხის საკანი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სამკურნალო დაწესებულების პალატა და ჯანმრთელობა შერყეული პაციენტები. საქართველოში კომუნისტების დროს მექმედი კანონმდებლობითაც კი, სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით, დაუშვებელი იყო მოქმედი საავადმყოფოს მომიჯნავედ აშენებულიყო საცხოვრებელი ან მრავალფუნქციური სახლი. თუ სსრკ-ს ანტიეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფდა საზოგადოების ელემენტარული ინტერესების დაცვას, მინიმუმ იგივეს გაკეთება მოეთხოვება ქალაქის მაცხოვრებლების მიერ არჩეული ეროვნული, თვითმმართველობის ორგანოსაც.

ქ.თბილისის მერიის საიტზე განთავსებული ინტერაქტიული რუკის შესაბამისად ი.ჭავჭავაზის გამზ.#29-31-33 ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.14.004.023) ასაშენებელი კოეფიციენტი K2 განსაზღვრულია 3.5, მერიის არქიტექტურის სამსახურის #411806 გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ განმცხადებელი შპს "მოყვასი 2012" მოითხოვა სახლის არქიტექტურული პროექტის დამტკიცება 5.29 კოეფიციენტით. ამავე ინტერაქტიული რუკით განსაზღვრული პარამეტრებით დაუშვებელია აღნიშნულ ნაკვეთზე მავალსართულიანი ნაგებობის აღმართვა. რომც დაუშვათ რომ აღნიშნული ნაკვეთის პრივატიზირება და მისთვის დანიშნულების შეცვლა თავის დროზე განხორციელდა კანონიერად, განმცხადებლის მიერ ელექტრონულად ატვირთული სახლის პროექტი მაინც დაუშვებლად ცდება თუნდაც თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით ნაკვეთზე დაშვებულ პარამეტრებს. კანონის "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" მოთხოვნები თავხედურადაა დარღვეული, ვინაიდან

მოთხოვნილია 1243 კვ.მ ნაკვეთზე ორი კორპუსის ჩადგმა. გადაწყვეტილება #411806 ასევე ირკვევა, რომ ციტატა: "1. დამატებით ველში საჭიროა ატვირთოთ ქ.თბილისის მერიის გამწვანებისა და ეკოლოგიის სამსახურის თანხმობა ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების მოჭრა გადატანასთან დაკავშირებით" ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ ამ ნაკვეთის მიმდებარედ ზუსტად არსებული მწვანე წიწვოვანი ხეების გასწვრივ, მდებარეობს მოქმედი საავადმყოფოს პალატები. მწვანე ნარგავების განადგურებით შეუძლებელი გახდება იქ მყოფი პაციენტების მკურნალობა და საავადმყოფოს არსებობა საერთოდ აზრს დაკარგავს.

ჩვენთვის განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მერიის არქიტექტურის სამსახურის #411806 გადაწყვეტილებაში არ არის დაფიქსირებული არცერში ჩვენს მიერ ზემოთ-ჩამოთვლილი დარღვევა. აღნიშნული გარემოება გვიჩენს საფუძვლიან ეჭვს ვივარაუდოთ, რომ ადმინისტრაციული ორგანო არ აპირებს შეს "მოყვასი 2012" მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტი განიხილოს მიუკერძოებლად, სამართლიანად და გაითვალისწინოს მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების კანონიერი ინტერესები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 12 მუხლი ადგენს: "ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს." ამავე კოდექსის 75 მუხლის შესაბამისად "ამ კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს: ...ე) დაინტერესებულ მხარეს." იგივე კოდექსის 95 მუხლით განსაზღვრულია, რომ "1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. 2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში."

ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მხრიდან ამ დრომდე ირღვევა "მშენებლობის ნებართვების გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის #57 დადგენილების მოთხოვნებიც. დადგენილების 35 მუხლით განსაზღვრულია, რომ "1. მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის კვლევა უნდა განხორციელდეს შენობა- ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების მომზადებამდე, ზოგიერთ შემთხვევაში - შენობა-ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობის და გამოყენების დროს (შენობა-ნაგებობის მშენებლობის პროცესში ან გამოყენების დროს კვლევისათვის აუცილებელი გარემოებების წარმოქმნის შემთხვევაში)." ამავე მუხლის 4-ე პუნქტით დადგენილია: "4. ახალი მშენებლობისა და არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციისას უნდა მოხდეს იმ არსებულ შენობა-ნაგებობაზე ზემოქმედების შეფასება, რომლის მომიჯნავედაც დაგეგმილია მშენებლობა." არქიტექტურის სამსახურისათვის,

გამომდინარე ჩვენი არაერთგზის მიმართვისაგან, ცნობილი უნდა ყოფილიყო მთავრობის დადგენილებაში მითითებული "კვლევისათვის აუცილებელი გარემოებების წარმოქმნის შესახებ." შესაბამისად იგი მოვალე იყო დამკვეთისათვის, შპს "მოყვასი 2012" მოეთხოვა პროექტის ექსპერტული კვლევა ი.ჭავჭავაძის გამზ.#29-31-33 არსებული შენობა-ნაგებობებისათვის შესაძლო გავლენის (ბუნებრივი განათებულობის დაუშვებლად შეზღუდვის კუთხით) შესახებ. სამწუხაროდ გადაწყვეტილება #411806 მსგავსი არაფერი წერია.

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან მერიის საქალაქო სამსახურებიდან კატეგორიულად მოვითხოვთ:

1) შეისწავლოთ ქ.თბილისში ი.ჭავჭავაძის გამზ.#29-31-33 ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.14.14.004.023) დანიშნულების შეცვლის და პრივატიზირების საკითხების კანონიერება და აღნიშნულის დადგენამდე, შეაჩეროთ ნებისმიერი სახის წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების პროცედურა.
2) უზრუნველყოთ ქ.თბილისში ი.ჭავჭავაძის გამზ.#29-31-33 შპს "მოყვასი 2012" დაკვეთით წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის საჯარო განხილვა, ჩვენი წარმომადგენლების მონაწილეობის გზით.
3) მოსთხოვოთ დამკვეთს წარმოადგინოს დასკვნა, ლ.სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს მათმა პროექტმა ქ.თბილისში ი.ჭავჭავაძის გამზ.#29-31-33 არსებულ შენობა ნაგებობებზე ბუნებრივი განათების შეზღუდვის კუთხით და რამდენად დასაშვებია ეს შეზღუდვები.

მერიის სამსახურის ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ვიტოვებთ უფლებას, ჩვენი დარღვეული უფლებების აღსადგენად მივმართოთ სასამართლოს ან სხვა სამართალდამცავ ორგანოებს.

მესაკუთრეთა ამხანგობა "ჭავჭავაძე (ვაკე) 2001" 56 მესაკუთრეების სახელით

ადვოკატი მიხეილ ქებურია

თანახმად რწმუნებულებისა
სანოტრო რეგისტრაციის #121263682
ტელ.: 577 741147

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

08145317978412

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N121263682

რეგისტრაციის თარიღი

26.11.2012 წ

ნოტარიუსი: ნანა ბაკურაძე
მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
ტელეფონი: 33 18 67

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სანოტარო აქტი

ორიათას თორმეტი წლის ოცდაექვს ნოემბერს მე, ნოტარიუს **ნანა ბაკურაძეს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №76-ში**, მომმართა **ამხანაგობა "ჭავჭავაძე 2001"-ის თავმჯდომარემ ირაკლი გუჯაბიძემ**. მან მოითხოვა რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ირაკლი გუჯაბიძემ** (დაბადებული 14.06.1953წ. ბათუმში, მცხოვრები თბილისი, კოსტავას ქ. 75, ბინა 16, პ/მ №ბ 0820043, პირადი №01024010420 გაც. თბილისის საბურთალოს სმრ და სარ სამსახურის მიერ 22.11.2005წ.) მომმართა. მე შევამოწმე **ირაკლი გუჯაბიძის** ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ **ირაკლი გუჯაბიძემ** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე რწმუნებულებას.

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორიათას თორმეტი წლის ოცდაექვს ნოემბერს **ამხანაგობა "ჭავჭავაძე 2001"-ის თავმჯდომარემ ირაკლი გუჯაბიძემ** (დაბადებული 14.06.1953წ. ბათუმში, მცხოვრები თბილისი, კოსტავას ქ. 75, ბინა 16, პ/მ №ბ 0820043, პირადი №01024010420 გაც. თბილისის საბურთალოს სმრ და სარ სამსაზურის მიერ 22.11.2005წ.) რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც "მარწმუნებელი" **მიხეილ ქებურიას** (დაბ. 03.01.1979წ, ჩხოროწყუში, მცხოვრები მის მიერ გაცხადებული მისამართზე თბილისი, ზ. ბოცვაძის 14 ბ. 6, ბარათის ნომერი 11IC30086, პირადი ნომერი – 48001000692 გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 02.04.2012წ.) – რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც "რწმუნებული" მიანიჭა შემდეგში უფლებამოსილება:

1. რწმუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და/ან არაქონებრივ ინტერესებს, ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს ნებისმიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ქალაქ თბილისის მერიაში, შსს მომსახურების სააგენტოში (საპატრულო პოლიციაში), სადაზღვევო კომპანიებში, საჯარო რეესტრში, საქართველოს აღსრულების ეროვნულ ბიუროში, არბიტრაჟში, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, გამოძიებაში, მოკვლევაში, ფიზიკური და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის სისხლის, სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეს.

2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მარწმუნებლის სახელით დაესწროს შეიტანოს ყველა სახის განცხადება და/ან სარჩელი (შეგებებული სარჩელი, კერძო საჩივარი) სასამართლოში, გადაიხადოს და/ან მიიღოს სახელმწიფო ბაჟი, გააკეთოს ამონაწერი საქმის მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, მოახდინოს აღსრულება, მორიგება, წარმოადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობით ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები, მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სააპელაციო, საკასაციო საჩივარი.

1.არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის

მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

3. მარწმუნებელი ვალდებულია გადაიხადოს დავალების შესასრულებლად ყველა საჭირო ხარჯი.

4. რწმუნებული უფლებამოსილია წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილებები თავისი შეხედულებისამებრ მთლიანად ან/და ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირებს დაიქირავოს ადვოკატი.

რწმუნებულება გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2013 წლის ოცდაექვსი ნოემბრის ჩათვლით.

5. რწმუნებულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით. თუ რწმუნებულმა მაშინ შეწყვიტა, როცა მარწმუნებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად დაეცვა მისი ინტერესები, რწმუნებული ვალდებულია მარწმუნებელს აუნაზღაუროს ზარალი, გარდა იმ შემთხვევისა როცა რწმუნებულს ამისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა.

6. რწმუნებულება შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი სამი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 10 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 1 ლარი და 80 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

მარწმუნებელი:

ირაკლი გუჯაბიძე _____

ნოტარიუსი _____ ნანა ბაკურაძე

საქართველო GEORGIA NOTARY NANA BAKURADZE 01024030536